

შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი

№ 6.

კვირა, მაისის 18, 1908 წ.

ფსა წლიურათ — 4 მან.

ნახევარი წლიათ — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.

ადრისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: ჩვენი სასულიერო სასწავლებელი—უკიდურესისა; მოსე წინასწარმეტყველი და ივ. გომარ-თლის იტიბოტია—სანმანიანისა; ლექსი—ნ. კ—ველიძისა; დეკ. დ. ლამბაზის შენიშვნებისა და მღ. ვაშაძის წერილისა გამო—სოფლის მღვდლისა; სამეურნეო წერილები—ნ. მკურნალისა; კვირიდამ კვირიდამდე; ტრემლის ხევი—მღ. ვ. ფ—ძისა; პროფესორ მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე (თარგმანი)—ბოსლევ-ლისა; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას—სანმანიანისა.

ყოველ კვირულ გაზეთი

„შინაურ საქმეებს“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და სავაჭრო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ჩვენი სასულიერო სასწავლებლები.

გვები არ არის, ერთი უმთავრეს საგანთაგანი, რომელსაც ყურადღებას მიაქცევს ჩვენი სამღვდლოების მომავალი კრება, იქნება სასულიერო სავაჭეზო და საქალებო სასწავლებლები. ამიტომ საჭიროა, წინდაწინვე გათვალისწინებული გვქონდეს მათი მდგომარეობა, რომ მათ წყლულს, რომელშიდაც, ვფიქრობთ, ნაკლებულევენება არა აქვს. შესაფერი წამალი დავსდვათ, დავიწყეთ სავ ეზო სასწავლებლიდან.

სასულიერო სავაჭეზო სასწავლებელი ამ ემად ჯვარდასმულ დაწესებულებად ითვლება და აღარაფერ ყურადღებას არ აქცევს. სამღვდლოებამ კაი ხანია იილო ხელი მის შენახვა-პატრონობაზე და ამიტომ მას მოსწყდა მთე-

ლი ნახევარი ეგრეთწოდებული პარალელურ კლასები; რომელშიდაც ყოველწლივ სწავლობდა არა ნაკლებ 100—200 ყმაწვილისა. გულშემატკივარი პატრონი—ზედამხედველი—მას თავის ღღეში არ ყოლია და არც ახლა ჰყავს, რა თქმა უნდა: ყველა ზედამხედველები, გარდა განსვენებულ კალანდარაშვილისა და მხეცურად მოკლულ ასათიანისა, ზევიდგან ბიუროკრატიულად მხედველობდნენ და იმდენად აინტერესებდათ სასწავლებლის ბედიღბალი, რამდენადაც იგი აძლევდა მათ პატივს და ცხოვრების სახსარს. ეს იყო მიზეზი, რომ სწავლა-აღზრდის საქმე მოკლებული იყო ყოველ პედაგოგიურ ნიადაგს. მეთოდი, რომლითაც ამ უკანასკნელ ხანებში ასწავლიდნენ ყმაწვილებს, არაფრით განირჩეოდა ძველი ნეტარხსენებული კალანდარაშვილის მეთოდიდგან, თუ ამ უკანასკნელზე ნაკლები არ იყო. ასეთს სწავლებას ძველი, დახვესებული პროგრამაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა. რაც შეეხება აღზრდის საქმეს, ესეც მხოლოდ წირვა-ლოცვაზე სიარულით და მუდამ კრუხივით სახლში ჯდომით განისაზღვრებოდა.

თავი და თავი ნაკლი ჩვენი სასულიერო სასწავლებლისა რომელმაც დაღუპა არა თუ იგი მარტო, არამედ დასცა მართლმადიდებელი სარწმუნოება—საქართველოში, არის მისი პროფესიონალური ხასიათი. მისთვის რაღაც გაუგებრობას დაუბრუნებდა.

ქ. მარტო...
სახლმწიფო რესპუბლიკა



სულაერო სასწავლებელი. სასწავლებელი ყველა სასულიეროა, რომელსაც აიღებთ რადგან ყველა ემსახურება სულის ძალების განვითარებას. ხოლო უკანასკნელს უნდა ერქვას სამღვდლო სასწავლებელი, რადგან პირველი ნაბიჯიდანვე ბავში სამღვდლო საგნებს სწავლობს, სამღვდლოდ ემზადება. და აი სწორეთ აქ არის დამარხული უბედურება,—ამ სწავლის ცალმხრივობაში. ჩვენის აზრით არც დაბალი და არც საშუალო სასწავლებელი სპეციალური არ უნდა იყოს. ამ სასწავლებლებში ახალგაზდობა უნდა ღებულობდეს საზოგადო განვითარებას; აქ მისი სულის ძალები თანასწორ უნდა ვითარდებოდეს, მისი ადამიანური ნიჭები მაღლდებოდეს და ცხოველური ითრგუნებოდეს. ზნეობრივი და გონებრივი განვითარება, მიღებული დაბალ და საშუალო სასწავლებელში უნდა დაედვას საფუძვლათ იმ სპეციალურ განათლებას, რომელსაც თავისუფლად ირჩევს საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებული.

რამდენი ხანია კაცობრიობა ცხოვრობს და გამოცდილებას იძენს და ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ადამიანი ადამიანად იზადება და არა მღვდლად ან ექიმად, გინა ვეჭილად. ამიტომ ბავში უნდა აღიზარდოს ჯერ კაცად ხატად ღვთისა დაბადებულად და არა სალდათად, გინა აფიცრად. კაცად აღზრდილი, იგი შემდეგ თვით აირჩევს თავის შესაფერ წოდებას, რაზედაც გული ერჩის, რაც უყვარს, ურისოთ ცხოვრება არ შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის ნაძალადევი მღვდელი, ნაძალადევი ექიმი, ნაძალადევი პოლიციელი, აფიცერი და სხვა. აქედან წარმოსდგება ის გულდაუდებლობა, ის გულის აცრუება, ის პირდაპირი მოვალეობის გვერდის ახვევა, რომელიც ასე ნათლად ეტყობა დღევანდელ მოსამსახურე პირებს. ძვირად შეხვდებით ისეთ თანამდებობის კაცს, რომელსაც უყვარდეს თავის თანამდებობა, შეგ-

ნებული ჰქონდეს მისი დიდმნიშვნელობა და ისე ემსახურებოდეს, ე. ი. სამსახურს ასრულებდეს სამსახურისთვის და არა ფულისა და პატივისთვის. რას ჰგავს მაგ. დღევანდელი ნაძალადევი სამღვდლოება? არ მოგვაგონებს იგი იმ ნაქირავებ მწყემსს, რომელიც, როცა მგელი მოუახლოვდება, სტოვებს ცხოვარს და ვარბის? სადღაა ჩვენში თავგამოდებისა და თავგანწირულების სული? სადღაა ჩვენში მწყემსი კეთილი, რომელმან სული თვისი დასდევს ცხოვართათვის? თავის დადებამ ქირი მოგჭამოსთ, რომ ამ ნაძალადევ სამღვდლოებას სარწმუნოება არ შეერყია მრევლში თავისი უმგებანი ქცევით და ქადაგებით. დღეს კიდევ ქრისტეს მიერ მღვდლად ითვლებიან და თავის ბილწ ხელებით ეხებიან წმიდა ბარძიშს ის მამები, რომლებიც გუშინ პოლიტიკურ-სოციალურ აგიტატორს უწოდებდნენ ი. ქრისტეს, მოკლეთ რომ ესთქვათ, სოციალდემოკრატს. ზოგმა ანაფორაც კი გაიხანდა და გუშინდელი წირვალოცვა კომედიად აღიარა; კომედიად, რომელსაც იგი თამაშობდა კუქის გასაძღვად, სწორედ ისე, როგორც სახსარს მოკლებული ნაძალადევი მსახიობი, ან ტიკინების კომედის შეთხიბნილი და სასაცილო წითელყვითელ ქინკების ტანისამოსში გახვეული მსხარა. აი ნაყოფი ბავშვის ცალმხრივი აღზრდისა—აი ნაყოფი სასულიერო სასწავლებლისა.

ბერობა? რა არის ეხლანდელი ბერობა? რომელიდაც საუკუნის ბერს უთქვამს: „მეოცე საუკუნეში, რომ ბერები იქნებიან მათი მადლი შეგვეწიან“. ეს ხომ ასეა, მაგრამ მისი წინასწარმეტყველება უფრო ქვეშაირიტებასთან ახლო იქნებოდა, რომ ორი საუკუნით კიდევ უკან დაეწია და მეთვრამეტე საუკუნის ბერებიდან დაეწყო. ბევრს არ განვაგრძობთ, რადგან გვეშინია, არავინ გავარისხოთ (თუმცა მხილებისათვის კაცი არ მოიკვლის), ვიტყვი მხოლოდ, რომ დაიკარგა

ანგელოზებრივი სული ბერობისა. უწინ ბერობასთან ქვეყნიურ სიამოვნებას სტოვებდნენ, ეხლა სიმდიდრესა და ფუფუნებას მისდევენ. უწინდელი ბერი პატივს ემაღლებოდა. ეხლანდელი ეძებს. ეფრემ სირიელი ღმერთს ევედრებოდა მთავრობის მოყვარეობისაგან დაეფარა, ეხლანდელი იმ განზრახვით ღებულობს ანგელოზებრივ სახეს, რომ მთავრობას მიაღწიოს, გაბატონდეს. გრიგორი ღვთის მეტყველი ძლივს გამოიყვანეს უდაბნოდგან კონსტანტინეპოლის მთავარ ეპისკოპოსად და ისიც იმ დროს, როცა ის საჭირო იყო ეკლესიისთვის მართლმადიდებელ სარწმუნოების აღსადგენად, ეხლანდელები პირიქით ეძიებენ ეპისკოპოსობის კვერთხს და ისიც მიტომ, რომ სხვა იმსახურონ და არა სხვას ემსახურონ, სხვისი თავი შეიწირონ და არა სხვას შესწირონ თავისი თავი. ვიმეორებთ, ეს არის შედეგი ცალმხრივი განათლებისა, საცა ადამიანი სიყრმიდგანვე რომელიმე წოდებისათვის მზადდება წინააღმდეგ თავის შინაგან მოთხოვნისა, შინაგან მიდრეკილებისა. ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის, როცა ადამიანი განძრახ ბერად და მღვდლად არ მომზადებულა. მაგრამ შემდეგ გამოსულა შესანიშნავი მწყემსი ეკლესიისა. მაგ. ავილოთ იოანე ოქროპირი, ვასილი დიდი, გრიგორი ღვთისმეტყველი ათანასი დიდი, დიონოსი არეოპაგელი და სხვანი მრავალნი, რომელთაც არ მიუღიათ სპეციალური სამღვდლო განმზადება, ე. ი. არ უსწავლიათ სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ თავის შინაგანი განწყობილების მეოხებით შეიქმნენ დიდებულნი მამანი და მოძღვარნი ქრისტეს ეკლესიისა. წინააღმდეგ, ისტორია ისეთ მაგალითებსაც წარმოგვიდგენს, როცა განძრახ სამღვდლოდ გამზადებულნი გამოვიდნენ უკიდურესნი უარყოფელნი ქრისტეს სარწმუნოებისა. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ მეფე ივლიანე განდგომილი და ჩვენი თანამედროვე სოციალდემოკრა-

ტი ხუცები, მარქის ყურმოჭრილი ყუბი, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა საშიშია თავიდანვე განსაზღვრულ სამსახურისთვის ან ხარისხისთვის ბავშვის აღზრდა.

ამის მიხედვით ჩვენი სასულიერო სასწავლებელი, როგორც პროფესიონალური, უნდა უვარგისად იქნეს აღიარებული და გადაკეთდეს ისე, რომ აქ მოსწავლე ღებულობდეს საზოგადო განვითარებას იმის მიუხედავად, თუ რა სამსახურს აირჩევს ის შემდეგ სასწავლებლის შესრულებისა.

სასულიერო სასწავლებლის გადაკეთების აზრი აღიძრა უკანასკნელ სამღვდელოების კრებაზედაც, მაგრამ განხორციელება ვერ მიიღო. ახლაც ვერ მიიღებს იგი განხორციელებას, თუ მართებლობის იმედი დავიკავებთ და მას მივაჩერდით, როლის ინებებს და თავის დრო მოქმულ შკოლებით აღარ დაამახინჯებს ღვთის ხატებას—ადამიანს. არა, ამის ცდა გვიან მოგვივა და ვინ იცის კიდევ, რომ უმახინჯესი სკოლის ტიპი არ იქნება შექმნილი. საჭიროა ჩვენ თითონ, კერძო ინიციატივით, დავიწყოთ ჩვენთვის სასურველი სკოლის შექმნა; ჩვენვე უნდა შევადგინოთ გონივრულად მოფიქრებული პროგრამა და შევქმნათ კერძო სკოლა იმ უფლებებით, რა უფლებებითაც არსებობენ დღეს მაგ. სააზნაურო გიმნაზიები. მასწავლებლების და ზედამხედველების დანიშვნა და დათხოვნა თვით სამღვდელოების უფლებადმი უნდა იყოს და არა მართებლობის ხელში, რომელიც კანდიდატის აკადრგინობას დიპლომებით სჯის და არა იმ შინაგანი ზნეობრივ-გონებრივი ბარგით რომელიც თანსდევს ამა თუ იმ მასწავლებლობის კანდიდატს და შეაქვს სასწავლებელში. ეს უფლება უნდა შეადგენდეს პროგრამის სულს და გულს, უამისოდ სკოლა ვერ ძეირებს, როგორც ვერ ხეირობს ალა ჩვენი სასწავლებლები.

დაგვრთავს თუ არა მართებლობა ნებას ჩვენი შემუშავებული პროგრამით

შკოლის გახსნაზე? ეს საკითხი, მგონი, პრინციპიალურად გადაწყვეტილია მას შემდეგ, რაც ჩვენ თავად-ახნაურებს მიეცათ ეს უფლება. სხვა საქმეა, მოგვცემს თუ არა სინოდი უფლებას, რომ ის ფული, რომელიც ეხლა სასულიერო სასწავლებელზე იხარჯება ჩვენი საეკლესიო ხაზინიდან, მოვახმართ ამ ახალ ტიპის შკოლის შენახვას. გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ არა და ეს „არა“ კანონიერი „არაა“. საეკლესიო ფული უნდა ეკლესიის გამშენებლას ხმარდებოდეს და მის მსახურთა აღზრდა-განვითარებას. ამით უნდა დაარსდეს საღვთისმეტყველო კურსები, რომელშიდაც შესვლის უფლება უნდა ექმნეს ყველას, ვისაც საშუალო სასწავლებელი გაუთავებია და აქვს მიღებული საზოგადო განათლება, რამდენადაც ამას იძლევიან თუნდა დღევანდელი მართებლობის გიმნაზიები, ან საახნაურო გიმნაზიები. ჩვენი საშუალო სასწავლებელი კი ჩვენ უნდა მოვაწყოთ და შევიანახოთ ჩვენივე ხარჯით, რომელიც, ვფიქრობთ, ბევრად არ აღემატება იმ ხარჯს, რომელსაც ეხლა ეწევა სამღვდელოება თავის შვილების სხვა და სხვა სასწავლებლებში აღზრდისათვის.

უკიდურესი.

(შემდეგი იქნება).



მოსა წინასწარმეტყველი*) და ივ. გომართლის ივიზოზია.

„ბაბილონის მითი (ზღაპარი) ქვეყნის გაჩენაზე კაი ხანია, ცნობილია მეცნიერებაში. სოლოური ნაწერების აღმოჩენამდის იგი ცნობილი იყო იმ ფორმით, როგორც გადმოგვცემს ბეროზი (ბეროზი იყო ქურუმი, რომელიც მესამე საუკუნეში სცხოვრებდა ქრისტეს წინ) ამ

*) იხ. „შინაური საქ.“ № 5

მითის შინაარსი შემდეგია: პირველად გარდაღმერთებისა, იყო ხაოსი ან უსინათლო წყლის სივრცე (მასსა), ხაოსიდან გაჩნდნ თავის თავად სხვა და სხვა ცოცხალი არსებები: ფრთებიანი ადამიანები, ორთავიანი ცხენხარები, კაცის თავიანი ხარები, თევზები და სხ. ხაოსის მფლობელი იყო ქალი სახელად ომორკა, ქალღმერთად თამტე. მას წინააღმდეგ ღმერთი ბელი, რომელმაც გაჰკვეთა ქალი ორ ნაწილად და ერთი ნაწილისგან შექმნა ცა და მეორესაგან დედამიწა. ამ დროს დაიბოცნ ხაოსის ყველა ცხოველები. შემდეგ ამისა ღმერთებმა აურიეს ერთმანეთში ბელის სისხლი და მიწა და შექმნეს ცხოველები და ადამიანები, ხოლო თვით ბელმა შექმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

ეს მოკლე და გაუგებარი მითი ბესოზისა ეხლა შევსებულია ახალი ცნობებით, რომლებიც აღმოაჩინეს ასსურბანიპალის წიგნთსაცავში, და ეკუთვნის მეშვიდე საუკუნეს. პირველად, როგორც სჩანს, ამ მითს ეჭირა შვიდი თიხის ფიციანი, რომელთაგან უფლებლად შენახულია მესამე და მეოთხე, სხვების კიმხოლოდ ნატეხებია შენახული, რომელთა აზრი ბევრგან გაუგებარია.

ამ მითს ბაბილონურ ენაზე ეწოდება ენუ-მაელის და იწყება ქვეყნის მდგომარეობის აღწერით, სანამ ცა და დედამიწა გაჩნდებოდა. ეს მდგომარეობა წარმოდგენილია, როგორც წყლის ხაოსი, რომელსაც შეადგენს ორი არსება—მამრი აფსუ და მდედრი ტიამატი. პირველი მოქმედება ამ ხაოსისა იყო ღმერთების გაჩენა. „როდესაც ზევით ცას არ ერქვა სახელი და ქვეშ მიწას არ ჰქონდა არავითარი სახელი, როცა აბსუ პირველი ყოველთა შორის, მშობელი მითი, და მუმუ-ტიამატი დედა ყოველთა ურევდნენ თავის წყლებს ერთმანეთში; როცა არც მინდორი იყო ჯერ შექმნილი და არც ლერწამი ჩანდა, როცა არც ერთი ღმერთი ჯერ არ გაჩენილიყო, არაფერი სახელი არ იყო, არაფერი ხვედრი არ იყო განსაზღვრული, მაშინ შეიქმნენ ღმერთები... ლაბმუ და ლახაშუ წარმოიშვნენ... როცა ესენი დაიხარდნენ, შეიქმნენ ანსარი და კისარი...

შემდეგ დღე დღეს მისდევდა... ანუ... ანსარ“... შენახული მოთხოვნის შემდეგი ნაწილი იწყება აფსუს და ტიამატის მუსაიფით, რომელიც წარმოადგენს ტიამატის აჯანყების გეგმას მისგან წარმომდგომ ღმერთების წინააღმდეგ. პირველი ფიქრის ბოლოში აწერილია თვით აჯანყება ტიამატისა. ტიამატს გადმოჰყავს თავის მხარეზე ზოგიერთი ღმერთები, შემდეგ მათი შემწეობით აჩენს ვეებერთელა გველებს, დრაკონებს, ხელიკებს, ცოფიან ძაღლებს—სახოგადოდ თერთმეტნაირ ცხოველებს, რომლებიც უნდა მოხმარებოდა მას ბრძოლაში. ამ ჯარის მთავარ სარდლად ტიამატი ნიშნავს მძევნვარე კინგუს და მისი ლირსების გარეგან ნიშნად აძლევს მას ტუპ-სიმატს, საბედისწრო ცხრილს და ეუბნება: „შენი ბრძანება არ შეიცვლება, სიტყვანი პირისა შენისანი მტკიცე“.

ფიქრები II, III და IV აგვიწერენ, თუ როგორ ემზადებიან ღმერთები ტიამატისაგან თავის დასაცავად. გაიგო თუ არა ღმერთების დიდდელის ტიამატის განძრახვა, ანსარმა მოიწვია ჯერ ანუ, შემდეგ განლილ-ბელა, რომ შემბრძოლებოდნენ ტიამატს. როდესაც ამათმა მოუკალელობის გამო უარი განაცხადეს, ანსარმა მოიწვია მარდუკი. მარდუკი დაჰპირდა ტიამატის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ იმ პირობით კი, თუ გაიმარჯვებდა, იგი უნდა ყოფილიყო პირველი ღმერთთა შორის და უმეტეს მას ხელში უნდა ყოფილიყო ბედის წერა. მაშინ ანსარმა მოუწოდა ყველა ღმერთებს და მისცა წინადადება აერჩიათ მარდუკი ტიამატის წინააღმდეგ საბრძოლველად. შეგროვილი ღმერთები ირვებიან ანსარის სასახლეში სხდებიან საქმელად, ძღებიან სხვა და სხვა სანოვაგით, თვრებიან ტკბილი ღვინით და შემდეგ ერთხმად ირჩევენ მარდუკს თავის მაგიერ შურის მამიებლად. ამასთანვე მარდუკი აღიარეს ღმერთებმა მეფედ და უმაღლეს ზეციურ ღმერთად, თავის ძლიერების დასამტკიცებლად მარდუკმა ღმერთების წინაშე სასწაულისც მოახდინა: გააქრო თავის ტანისამოსი და ხელმეორედ შექმნა იგი.

მეთხუე ფიქრის გაგრძელება დაწერილი

ბით მოგვითხრობს მარდუკის ტიამატთან საბრძოლველად მომზადებას. მარდუკმა გაიკეთა მშვილდი, ისარი, ისარი და ისრის ბუდე, აილო მარჯვენა ხელში „იარალი ღმერთებისა“, პირზე ელვა ჩაიცვა, ხოლო სხეული გაივსო მწვავე ალით. გააკეთა აგრეთვე ბადე, რომ ტიამატი გაეხვია შიგ. შემდეგ გაიჩინა თანაშემწედ შვიდი ქარი, აღიჭურვა თავის უმაღლესი იარალით აბუბუ-თი-ნათლით, ჩაჯდა ეტლში და გავიდა საბრძოლველად. დაინახეს თუ არა მარდუკის მრისხანე სახე, კინგუ და ტიამატის მხვა მომხრე ღმერთები შეშინდნენ. ხოლო თვით ტიამატი არ შეშინდა და მიმართა მარდუკს ლანძღვა-გინებით. მარდუკმაც ამნაირივე სიტყვებით უპასუხა, რომელშიდაც უსაყვედურებდა ვერაგულ აჯანყებას. „გამობრძანდი და შევიტაკოთ“, სთქვა უკანასკნელად მარდუკმა. როცა ბრძოლა დაიწყო, მარდუკმა სწრაფი მოძრაობით გადააყარა ბადე ტიამატს და მიუსია მას ერთი შვიდქართაგანი. გრიგალი ჩაუვარდა ტიამატს გადებულ პირში, ასე რომ პირის დამუწვა ველარ მოახერხა. მაშინ ღმერთმა დასცა ტიამატს ლახვარი, გაუფატრა მუცელი, გაუხვრიტა გული, დასცა ძირს და ფეხით შესდგა მის სხეულზე. ამის შემდეგ დახოცილ იქმნენ ყველა ის საშიშარი მხეცები, რომლებიც შეადგენდნენ ტიამატის ჯარს, ხოლო კინგუს მარდუკმა წაართვა საბედისწრო ცხრილები“ და თითონ დაიკიდა გულზე. შემდეგ მოუბრუნდა ძლეულ ტიამატს, შესდგა ფეხით მის სხეულზე, გაუპო მას თავის ქალის ზემო ნაწილი „ღმერთების იარალით“, დაუქრა სისხლით სავსე ძარღვები და უბრძანა ჩრდილოეთის ქარს წაელო იგი მიუღვამელ ადგილებში. მაშინ ღმერთებმა, მარდუკის მამებმა გაიხარეს და მიართვეს მას ძღვენი, გამარჯვებულმა ღმერთმა კი დაიწყო ქვეყნიერების გაჩენა ტიამატის სხეულისაგან, სოლოური წერილები ასე მოგვითხრობენ ამ ამბავს: „ბელი დამშვიდდა, როცა დაინახა ტიამატის მძორი. მან მოიფიქრა შეექმნა რაღაც ხელოვნური. ვაჰკვეთა ტიამატი ორ ნაწილად; აილო ერთი ნახევარი, გააჩინა ცის კამარა, დაკვეთა იგი ურდულით, დააყენა მცველები და უბრძანა, არ გა-

მოეშვათ მისი წყლები (მსგავსად)*) ცისა მან გაამაგრა ქვეშეთი ქვეყანა და წინააღმდეგინა ოკეანს, ნუგომუდის საცხოვრებელ ბინას. შემდეგ ბელმა გაზომა ოკეანეს ფორმა და გააკეთა მსგავსივე სასახლე ესარისა. ამ ესარის სასახლეში, რომელიც მან მოაწყო, როგორც ცა ნება მისცა ეცხოვრა ანუს, ბელს და ეას, როგორც საკუთარ ქალაქში.

მეხუთე ფიცარი მოგვითხრობს შინათობების შექმნაზე. მაგრამ ეს ფიცარი ისე გლახათ შენახულა, რომ მის შინაარსზე არ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ. აქ ჩვენ ვკითხულობთ: მან (მარდუქმა) გააკეთა დიდი ღმერთების სამყოფელი; როგორც ვარსკვლავები, მათი მსგავსი, დაადგინა კრებული ზოლაკისა. მან დანიშნა წელიწადი, დაადგინა (ყველა ვარსკვლავები), დაარსა თორმეტი თვე ვარსკვლავებით, სამით კიდევ. როცა მან (აღნიშნა) ვარსკვლავის სახით წელიწადის დღეები, გააკეთა სამყოფელი იუპიტერისა, მათ (ვარსკვლავების) საზღვრის საჩვენებლად, რომ ერთი მათგანიც გზას არ დასცდეს და ხეტიალი არ დაიწყოს; მასთან ერთად (იუპიტერის სამყოფელთან) დაამყარა სამყოფელი ბელისა და ასის. ამის შემდეგ მან ორივე მხრივ გააღო (ცის) კარები, მკვდრად გაამაგრა ურდული მარჯვნივ და მარცხნივ. ცის შუაგულში მან დასვა ზენიტი (შუაღმდესი წერტილი). მან უბრძანა მზვარეს ნათობა და დაუმორჩილა მას დამე, დანიშნა იგი დამის მნათობად დროს საჩვენებლად. (იმან შექმნა იგი ისე, რომ) ყოველ თვეში ყოფილიყო საესე. (მან უთხრა) თავის დამდგეს, როცა საღამო დადგება, ანათე რქებით, რომ აღნიშნო ცაო“.

მეხუთე ფიცრის დანარჩენი ნაწილი შეიცავს რამოდენიმე გაფუჭებულ სტრიქონს, რომლებიც მოგვითხრობენ შთვარის ფაზებზე (ცვლილებებზე) და ამით თავდება შენახული ნაწერი. რაც შეეხება დანარჩენ ორ ფიცარს, მათგან შენახულა მცირე ნაშტრეფები, რომლებიც მოგვითხრობენ ცხოველების და ადამიანის შექმნაზე. მეექვსე ფიცრის დასაწყისში

*) ამ ადგილზე გაფუჭებულ ტექსტს სხვა და სხვა ნაირად თარგმნიან.

ჩვენ ვკითხულობთ: „როცა მარდუქი ისმენდა ღმერთების სიტყვას, მაშინ მოუვიდა აზრად რაღაც ხელოვნურის შექმნა. მან განალო პირი და დაუწყო ლაპარაკი ეას; მან უთხრა მას ყველაფერი, რაც გულში ჰქონდა: „მე მინდა შევკრიბო სისხლი, მე მინდა... ძვლები, მე მინდა დავაყენო კაცი, რომ მან დაასახლოს (ქვეყანა?), დაევალოს მას ღმერთების მსახურება, ხოლო ესენი (ღმერთები) სცხოვრობდნენ თავის სასახლეებში“. მცენარეების შექმნას მოგვითხრობს მეშვიდე ფიცარი.

ამ მითის ნაკლს ავსებენ სხვა და სხვა ძველი ბაბილონური ნაწერები და თქმულებები. ამ თქმულებებთან საპატივო ადგილი უჭირავს ერთ შემაჩვენებელ ლოცვას, რომელიც წარმოადგენს მოკლე მოთხრობას ქვეყნის გაჩენაზე. ეს მოთხრობა განიჩევა ზემომოყვანილისაგან და შეადგენს მის დამატებას. დრო ქვეყნის შექმნისა განსაზღვრულია საგნების და ადგილების ჩვენებით, რომლებიც არ იყვენ ქვეყნის შექმნამდის. პირველ-ყოფილი მდგომარეობა ქვეყნიერებისა წარმოადგენილია ზღვად ან ხაოსად. მთელი დედამიწა იყო ზღვა, ქვეყნიერების შექმნა, რომელსაც წინაუღწრობს ღმერთების გაჩენა, ემისება მარდუქს. და მისი შემოქმედებითი ძალა ასეა აწერილი: „მარდუქმა დაამყარა ლელწამი ზღვაზე, შექმნა მტვერი და მოაყარა ლელწამს გარშემო. ღმერთებს რომ თავის საყვარელ ადგილებში ეცხოვრათ, შექმნა ადამიანები; ღმერთქალმა არურუმ მასთან ერთად გააჩინა ადამიანების თესლი. მან შექმნა პირუტყვი ველისა, ცოცხალი არსება ქვეყანაზე, მან გააჩინა ტიგროსი და ევფრატი თავთავის ადგილზე და დაარქვა მათ სახელები... ლელწამი კილი და ტყე შექმნა მან. შექმნა მან მწვანე ველისა, ველი, ლელწამი, კილი, გარეული ძროხა თავის ხბოთი, ახალგაზდა გარეული ირემი, ცხვარი თავის კრავით, კრავი, ქალები და ტყე, თხა... ამ თქმულების ბოლოში, რომელიც ძალიან ცუდად შენახულა, მარდუქს ემისება, ზღვაზე ვერფის გაჩენა, ანგურის შენობების აგება და გაშენება ქალაქებისა ნიპურისი, ერახისი და ეანასი „(Библия и Вавилонъ стр. 44).

აი ის ასურბანისპალოს წიგნთსაცავიდგან დაბუდებული ზღაპარი, რომელიც ბ. გომართელის და ამხანაგობის აზრით ხაფუძეულად დაედო მოსეს თქმულებას ქვეყნის შექმნაზე. როგორც ხედავს მკითხველი, ამ თქმულებაში სრულებით არაფერია ნათქვამი შესახებ იმისა, რომ „ღმერთმა (?) შექმნა ექვსი დღის განმავლობაში ცა და ქვეყანა, ხათელი, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, მცენარეები და ცხოველები, ხოლო მეექვსე დღეს გააჩინა კაცი თიხისაგან, მეშვიდე დღეს ღმერთმან განისვენა და ამ დღეს უწოდა „შაბათი“, როგორც გადმოგვცეს ბ. გომართელი. განა ცხადზე უცხადესი არ არის აქედგან, რომ გომართელს არ წაუკითხავს ზემომოყვანილი თქმულება და მის ნაცვლად იმას მოგვითხრობს, რაც შკოლაში გაუგონია ქვეყნიერების შექმნაზე „ზაკონოუჩიტლისაგან?“

ვისაც შექმნათა წიგნის პირველი თავი წაუკითხავს, ის უსაცილოდ დამეთანხმება, რომ ამ ორ თქმულებათა შორის არ არის არავითარი დამოკიდებულება. და ამ დაბნეულ მოთხრობიდან ვერ გამოიყვანდა ვერავითარ განსაზღვრულ სწავლას ქვეყნის შექმნაზე არათუ მოსე, არამედ თვით დელიჩიც და მთელი გუნდი ნემეც ასსირიოლოგებისა.

თუ მართლა რამე მსგავსების ნიშნ — წყალია ამ შიშსა და მოსეს თქმულებაში, ეს უნდა ვიფიქროთ, იმის ბრალი კი არ არის, რომ მოსემ გადმოიღო ბაბილონიდგან თავის თქმულება, არამედ იმისა რომ ქვეშარტი გადმოცემა ქვეყნის შექმნაზე გაზღაპრებულა წარმართთა შორის, ხოლო ებრაელთა შორის ზეგანცხადების მეოხებით უცვლელად შენახულა.

ბ. გომართელი ბაბილონის და ასსირიის კულტურას გაცილებით მაღლა აყენებს ებრაელებისაზე და რა ნიორად მოხდა, რომ კულტურულად ჩამორჩენილმა ხალხმა ისარგებლა მისი (ბაბილონის) თქმულებით ქვეყნის ვახენაზე და იმდენათ მაღალი თქმულება შექმნა მის ნიადაგზე, რომ მის ეერ შეედრება არათუ მისი პირველ-სახე — ბაბილონის თქმულება — არამედ ბევრი სხვა ზენი თანამედროვემატერიალისტური თქმულებანი ამავე სიგანზე თუნდ მა-

გალ. გომართელის თქმულებაჲ მის და მის ციაგების დედაშვილურ კავშირზე. (იხ. „შინაური საქ.“ № 1).


განვითარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ერს უფრო უნდა დაემხინჯებია ეს მართლი მახინჯი თქმულება და არა ისე გაეკეთილშობილებია, როგორც არის შექმნათა წიგნის თქმულება. მაღალი სწავლა ერთ ღმერთზე, რომელიც თავიდგან ბოლომდე გატარებულია მოსეს თქმულებაში, ძალიან შორს ტოვებს ბაბილონის თქმულებას. და სწორედ ეს სწავლა გამოაჩინებს ებრაელების სარწმუნოების ზეგანცხადებულობას: მაშინ როდესაც მთელი მსოფლიო კერპთთაყვანისცემის უფსკრულში იყო ჩაფლული, ებრაელებს მაღლა ეჭირათ დროშა ერთღვთაებრიობისა. ბერძნები ზენი ხანის პირველი საუკუნისა, მიუხედავად თავის მაღალი კულტურისა, კიდევ კერპთთაყვანისცემლები იყვნენ და მხოლოდ ეძიებდნენ ქვეშარტი ღმერთს, რომლის სასხვერპლოს ეწერა „უცნობ ღმერთს“, ხოლო ებრაელები მოსეს დროისა ერთ ღვთაებას აღიარებდნენ. ჰგავს ებრაელების სარწმუნოება სწავლა-განათლებლისა და საზოგადოდ კულტურის საქმე არ ყოფილა!...

ნეტა თუ გავიწყვიათ ოდესმე ანგარიში ამ ფაქტისათვის, ბ. გომართელო!...

ესეც ნუ დაგავიწყდებათ, ბ. გომართელო, რომ ბაბილონმა თავის კულტურის სიმაღლიდგან ვერ ისარგებლა ებრაელების სარწმუნოებით უკანასკნელების სამოცდა ათი წლის ტყვეობის დროს და მითი მარტყე და ტიამატზე ობოლი მარგალიტივით ხელში შერჩა და ზენამდი მოაღწია თქვენ და დელიჩის გონების ასანგრევად.

სანანანი.

(შემდეგი იქნება).



ბევრი რამ ქენა დროთა პრუნვამ,
ბევრი შობა გმართა გმობი,
ვინც მოძმეთა სიყვარულით

მიიყენა გასაქირი.
 მაგრამ, ვაი ამ გმირთ შორის
 ისეთებიც ბევრი არი
 „სიტყვა სხვა აქვსთ, საქმე სხვა აქვთ —
 შუა უძვესთ ღიღი ზღვარი“.
 მაშ რით ავხსნათ, ზოგიერთთა,
 სულის მწველი, გულის მკვლელი
 ქრისტეს მცნების და მოძღვრების
 უარ-ყოფის საქციელი?..
 მაგალითად, წმიდა რწმენას
 ერის გულში ჩანათესა,
 აღმოფხვრას რომ უპირებენ
 რას გვაძლევენ უკეთესსა?..
 „მამაპაპათ წალმა ნახნავს
 უკილმართად ეხლა ხნავენ“,
 აქ, მიწაზედ დაჩაგრულებს
 კის იმედსაც გვიკარგავენ.
 მაგრამ ამ გმირთ შესახებაც
 გულს იმედი მიტრიალებს
 და მომავალს ნათლით მოსილს
 ნეტარებით ვაპყრობ თვალებს.
 თითონ პავლე მოციქულიც
 ეკუთნოდა იმ ბრბოს კრებას,
 ცეცხლ-მახვილით რომ სდევნიდენ
 ქრისტეს მცნებას და მოძღვრებას.
 მაგრამ ბოლოს ბნელს ნათელმა
 სძლია, შუქი მიაფინა
 და ჰეშმარით „სიტყვის“ რწმენას.
 კერპის გულში მისცა ბინა.
 ამისთანა მაგალითი
 იყო, არის და იქნება
 თვით ქვეყნისა გარდაქმნამდე...
 ამას მოწმობს ქრისტეს მცნება.

ნ. კ—ველიძე.

ქუთაისი 1908 წ. 14 მაისი.

დოქ. დავით დამბაშიძის შენიშვნებისა და მღ. ბ. ვაშაძის წერილისა გამოც

(„მწყემსი“ 1908 წ., № 1-2).

1907 წ. „მწყემსის“ № 7-ში მოთავსებული ჩემ წერილში („კოტა რამ ჩვენი სამ-

ღვდელოებისა და მისი ნივთიერი მდგომარეობის შესახებ“), რომელიც ყოველად სამღვდელო ლეონიძე განიხილა და გადასცა „მწყემსის“ რედაქციას, ჩემი შეხედულება გამოვთქვი სამრევლოების გაფართოების შესახებ და თან ამის საბუთებიც მოვიყვანე. მ. დამბაშიძემ ჩემ წერილს შემდეგი პენიშენა ამოუყენა გვერდში: „როგორც სჩანს ამ სტატიიდან, ავტორს სრულებით საქმათ მიაჩნია მრევლის მღვდლისაგან წირვის, მღვდელმოქმედაბის შესრულება და შემწვარი ცხვრების კურთხება. სრულებით ივიწყებს, რომ მღვდლის ერთ უდიდეს მოვალეობას შეადგენს სწავლა-დარიგება, რასაც ჩვენში მღვდლები ყურადღებას არ აქცევენო“. სწორეთ გულთამხილავი, კაცის დაფარულ და ჯერეთ გამოუთქმელ აზრის გამომცნობი უნდა ბრძანდებოდეს მ. დეკანოზი, როდესაც ასე გადაქრილათ ამბობს, ვითომც მე მღვდლის მოვალეობათ მარტო წირვა-ლოცვა და შემწვარი ცხვრების კურთხება მიმაჩნდეს. ისე კი ჩემი წერილიდან სრულებითაც არა სჩანს, რომ მე ასეთი იწრო შეხედულება მქონდეს მღ. მოვალეობაზე. პირიქით, მღვდლის უმთავრეს მოვალეობათ მე მიმაჩნდა და მიმაჩნია ხალხში სარწმუნოების განმტკიცება და ზნეობის ამაღლება, როგორც ღვთისმსახურების კარგათ შესრულებით, ისე სწავლა-დარიგებით და სკოლაში ახალთაობის რიგიანი აღზრდით. ასეთი ჩემი შეხედულება მღვდლის მოვალეობაზე ამ სამიოდე წლის წინეთ მე ვრცლათ გამოვთქვი იმავე „მწყემსში“ მოთავსებულ წერილში „ძველი და ახალი შეხედულება საერო წოდების პირთა სამღვდელოებაზე და საშუალებანი ამ შეხედულების საუკეთესოთ შეცვლისა“. ამ წერილს ჩვენი სამღვდელოების მეგობარმა „ცნობ. ფურცელმაც“ სიამოვნებით დაუთმო ალაგი. მაგრამ ვინ გიჯერის? მ. დამბაშიძის შენიშვნებს ჩემი წერილის შესახებ, სწორეთ წლის თავზე, მ. ბესარიონ ვაშაძე იმეორებს და არც შემწვარ ცხვრებს ტოვებს მოუხსენებლათ. მ. ვაშაძის წერილში ის აზრია გატარებული, რომ სამრევლოების გაფართოება მსგავსად რუსეთის მაგალითისა, სადაც სამრევლოები შეაერთეს და ბოლოს ისევ დაუყვეს, ჩვენ-

შიაც გამოიწვევს მწვალებლობას, რაისთვის საჭიროა არა თუ გაფართოება სამრევლოებისა, პირიქით, დანაწილება პატარა სამრევლოებით ეხლანდელი 200-300 კომლიანი სამრევლოებისა; საჭიროა სამღვდელთა დაახლოება ხალხთან და დანიშვნა სამღვდელთაათვის ჯამაგირისა ხაზინიდან.

რუსეთის სამრევლოები საზოგადოთ იმოდენათ დიდები არიან, რომ შეუერთებლათაც იქაური მცირე სამრევლო ჩვენებურ დიდ სამრევლოს უდრის. რაიცა შეეხება მწვალებლობას, მისი გაჩენის მიზეზათ სამრევლოების გაფართოება არც რუსეთში ყოფილა და არც ჩვენში იქმნება. მწვალებლობას რუსეთში თავისი ისტორია აქვს და მისი გაჩენის მიზეზი კი, თუ ხსოვნა არ მალატობს, უმთავრესად მეთექვსმეტე საუკუნეში პატრიარქ ნიკონის განკარგულებით საეკლესიო წიგნების შესწორება იყო. უსაფუძვლო შიშია ისიც, ვითომც დიდი სამრევლოს მღვდელი ვერ შეასრულებს პირნათლათ თავის მოვალეობას. მღვდელი უმეცარი და დაუდევნელი 300-400 კომლიანს კი არა, 10 კომლიან სამრევლოსაც ვერ დამწყისს ჯეროვნათ; მღვდელი შესმენილი, ენერგიული და საქმის მოყვარული კი დიდ სამრევლოსაც კარგათ მოუვლის, რადგან მრევლის სიდიდე მას ხელს კი არ შეუშლის მოვალეობის შესრულებაში, კიდევ გაამხნეებს, ძალას შემატებს მას. მღვდლის უდიდესი მოვალეობა სწავლა-დარიგება არისო—ბრძანებენ მ. შ. ღამბაშიძე და ვაშაძე. სრული ჭეშმარიტება არის. სწავლა-მოდლებით მღვდელი უნდა მოქმედებდეს მრევლზე ჯერ თითონ ტაძარში და მერე ყველგან, სადაც კი გარემოება ხელს მოუწყობს. როგორ ფიქრობთ, როდის უფრო ხალისი აქვს მღვდელს სწავლა-მოდლებს, როდესაც მრავალი მსმენელი უყავს, თუ როდესაც მის წინ მარტო ორიოდე კაცს ჩაუქინდრავს თავი? უბრალო მოპაკედავი მღვდელი კი არა, თვით ღვთაებრივი მოძღვარი, უფალი იესო ქრისტე, აღფრთოვანდებოდა ხოლმე, როდესაც ხედავდა „გარემოს თვისსა ერთსა მრავალსა“. მ. ვაშაძის მაგალითი მრავალმგვირდიან სკოლაში მსწავლეებისა უნა-

ყოფოთ შრომის შესახებ საბუთად მისაღები არ არის, რადგან სკოლაში უსუსური ბავშვების წერა-კითხვის სწავლება და ხალხთან საუბარი ერთი არ არის, თუმცა რიგიანი მსწავლებელი ბევრ შეგირთებთან უფრო ხალისით და ნაყოფიერათ იშრომებს, ვინემ ცოტასთან. უმეცარსა და ზარბაც მსწავლებელს კი ორ-სამ შეგირდთანაც არ შეუძლია ნაყოფიერათ შრომა. შეიძლება მკ ღამბაშიძესა და ვაშაძეს საკმაოდ არ მიიჩნდესთ მღვდლისაგან ღვთისმსახურების შესრულება და საზოგადო სწავლა-მოდლებზე და სავალდებულოთ თვლიდენ მღვდელმა კერძო ოჯახებშიაც იაროს და უქადაქოს. თუ ასეა, დღემდის ეს ჩვენში ჩვეულებათ არ ყოფილა და თითონ ეს მამები, ვგონებ, დღესაც არ უნდა იქცეოდენ ასე. ნუ გვაეიწყდება, რომ სოფლის ხალხს ბევრი საქმე აქვს, მძიმე უდელი ადევს კისერზე და მას, საქმიდეს მაინც, მოცალეება არა აქვს თავის მოძღვარს მოუჯდეს გვერდში და მისი დარიგება ისმინოს. თუ ეს ასეა, მაშ რაღაში უნდა იყოს სიძნელე დიდი სამრევლოების მოვლისა? ჩემის ფიქრით ხსენებულ მამების სიტყვით უბადალებულსა და საქმით კი, შეიძლება მარტო გახსენებითაც, მადის აღმძვრელ შემწვარ ცხვრების კურთხევაში, რადგან ასეთი კურთხევა ხშირათ რამოდენიმე ოჯახში შეხვდება ხოლმე ერთსა და იმავე დღეს. მეორე სიძნელეს მღვდლის სამსახურში წარმოადგენს ერთ სამრევლოში რამოდენიმე ეკლესია, მაგრამ ხშირათ პატარა სამრევლოებშიაც არის ორი-სამი ეკლესია და აბა ეს სამრევლოებიც ამის მიხედვით კიდევ უნდა დაეანაწილოთ. დარწმუნდით, ასეთი განკარგულებითაც ხალხის სარწმუნოებასა და ზნეობას არაფერი არ შეემატება. ამის გასაგებათ თქვენ სამრევლოს იქით არ დაგჭირდებათ წისვლა, პატოსანო მამებო, რადგან პატარა სამრევლოები ყვირილისა, სადაც ორი მღვდელი მსახურებს, და რგანისა, თუ უფრო გლახათ არა, უკეთ დამწყსილი მაინც არ არიან სხვა დიდ სამრევლოებზე და არც თქვენი უმცროსი თანამძის 400 კომლიან სამრევლოზე. მ. ვაშაძე სამრევლოების გაფართოების შეუძლებლობას იმით ისაბუთებს კი-

დევ, რომ სამღვდლოებას ბევრი საზრუნავი საქმე აქვს ცოლშვილის მოვლით, ის მეურნეობასაც ეწევა და მთავრობისაგანაც ბევრი საქმე აქვს დაკისრებული. მთავრობისგან დავალებული საქმეები ისეთი მცირე და უმნიშვნელოა, რომ მათზე ლაპარაკიც არ ღირს. სახეში მისაღებია მხოლოდ სკოლაში შრომა, მაგრამ მთელ შორაპნის მახრაში მხოლოდ ორმოციოდე საეკლესიო სკოლა არსებობს. მეურნეობას ხელმოკლეობისა გამო მხოლოდ ზოგიერთი მღვდელი ეწევა. უმეტესობა მღვდლებისა კი სხვა სოფლებში მსახურებენ, იმათ არც მიწა-წყალი აქვთ საკუთარი, არც სახლკარი. და რა მეურნეობა შეუძლია ამ სამშობლო სოფლებიდან გადახვეწილ მღვდელს? სხვის მიწებს ხომ ვერ აიღებენ სანახევროთ დასამუშავებლათ? მე ვერ გამოვიგა, რა საქმეში ატარებენ ღროს ასეთი მღვდლები. სურვილი თვითგანვითარებისა კი ჩვენი სამღვდლოების უმეტესობას ნაკლებათ ემჩნევა. ამაში დასარწმუნებლათ ჯერ ჩვენი სამღვდლოების საოჯახო წიგნთსაცავებს გაეცანით და მერმე ერთად ერთ ქართულ სას. გამოცემის რედაქციაში შებრძანდით იმის გასაგებათ, თუ რამდენი მღვდელი იწერს ამ გამოცემას.

თუმცა მ. ვაშაძე დიდი მონატრეა სამრევლოების დაყოფა-დაქუცმაცებისა, მაგრამ არც იმაზე ამბობს უარს, რომ სამღვდლოება უზრუნველყოფილი იყოს ხაზინიდან დანიშნული ჯამაგილით. ის კი აფიწყდება, რომ სამღვდლოების ჯამაგირი მთავრობამ ისევ ხალხს უნდა გადაახდევინოს ამა თუ იმ სახით. ას კომლიანსა და ორას კომლიან სამრევლოს ყოველთვის გაუჭირდება სამღვდლოების რიგანათ შენახვა, სულ ერთია თითონ მისცემს მას ცხოვრებისათვის საშუალებას, თუ ხაზინის ხელით გადასცემს. გულუბრყვილო სოფლელივით ხომ ვერ ვიტყვით: „ი დალოცვილი ხემწიფე რომ ფულებს გვახდევინებს, ვინ უშლის, მოკრას, ხაზინაც აავსოს და ჩვენც გამოგვიგზავნოსო“.

ვიმეორებ, უპირველეს საშუალებათ სამღვდლოების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მიმაჩნდა და მიმაჩნია აწინდ-

ლი ორსამ შტატიანი ეკ. ერთ შტატიანათ გადაკეთება, პატარა და ერთიმეორესთან მახლობლათ მდებარე სოფლების შეერთება და მიუცილებლათ გადაჭრილი ჯამაგირების დანიშვნა. მღვდელი მაშინ შეუწყარდება ხალხს, როდესაც ის მუდამ მის ხელში შემწერე არ იქმნება და არც მისი ჯამაგირი დააწევა მძიმე ტვირთად. დამწყსევა დიდი სამრევლოსი შესმენილი და შრომის მოყვარე მღვდლისათვის საძნელო არასოდეს არ იქმნება, თუ ის ნივთიერათ უზრუნველყოფილი იქმნება და იძულებული არ გახდება აღებ-მიმცემის მიზნით თვეობით მრევლი მიატოვოს, მეურნეობა ცხოვრებისათვის უმთავრეს სახსრად გაიხადოს და ან, როგორც ამას წინეთ ერთ საერო გაზეთში აღწერილი იყო, ეკლესიასა და სკოლას გვერდში საწვრიმალნო დუქანი ამოუდგას.

სოფლის მღვდელი.

სამეურნეო წერილები

ფრანგელების მოგვალ-მოკმშენებლებთა საუკუნადლებათ.

„ქათამი ბალახს ქაღალდის ფულათ აქცევს, სილიდგან ვერცხლს ჭედს და მარცვლიდგან—ოქროს“ ამერიკული ანდაზა.

ახალ გამოჩეკილ წიწილს მთელი ტანი და ცალკე ნაწილებიც ერთობ სუსტი და ნაზი აქვს; მით უფრო ნაზია მისი საკმლის მოსანელებელი იარაღები ჩინჩახვი, კუჭი, წელები, და ეს გასაკვირიც არ არის, რადგანაც მთელი მისი ორგანოები შექმნილია კვერცხის გულის და ცილისაგან. ახალ გამოჩეკილ წიწილში იმდენი მოუნელებელი კვერცხის გულია კიდევ, რომ ერთი ღლე, დღენახევარიც მას კმევა არ სჭირია, შემდეგ კი მიუცილებლად უნ-

და აქამონ ისეთი ადგილი მასანქლებულა და ნაზი საქმელი, რომ სხეულის ზრდა არ შეჩერდეს, ტანი და ძელები გაუმაგრდეს. ჩვენში წიწილებს თითქმის მეორე დღიდგანვე აძლევენ ი' ეთ მაგარს საქმელს, (ლომის მარცვალს), რომლის მონელებას უნდება რამოდენიმე საათი, რადგანაც ნაზი და ერთობ პატარა ჩინჩახვი ერთობ ცოტა წვენს იძლევა მარცვლის დასარბილებლად. საქმელის დარბილებამდე და მის საკვებ ნივთიერების სხეულში დანაწილებამდე წიწილი სრული არ იზრდება და სუსტდება და ამიტომ ჩვენში საზოგადოდ ჩვენებური ქათმები ტანათ პატარაა და წვრილ კვერცხებსაც იძლევა. ვისაც სურს იყოლიოს მაგარი, საშვალების და გვარად დიდი და კარგ კვერცხების მდებელი ქათმები უნდა აქამოს:

ა) წინდაწინ მოხარშული და გაცივებული მარცვალი (ლომი, ფეტვი) ან ცომი, მხოლოდ პირველ კმევიდგან 3-4 დღეს წიწილებს წყალი სულ არ უნდა ასვათ. ბ) რბილი საქმელი უნდა აქამოთ დღეში 5-6ჯერ. გ) სამ ოთხ დღის შემდეგ დაუწყეთ წყლის დაღვინებაც, მაგრამ წყალი არ უნდა იქნეს ერთობ ცივი, თორემ მეცლის ტკივილს აუტეხს თავის შედეგით; დ) წიწილებს ძალიან უყვარს (და მიუცილებელი საჭიროც არის) სილა, რომელსაც ისინი ყლაპვენ სიამოვნებით და ამიტომ სილა მუდამ უნდა იქონიოთ, თუ სადმე ახლო მოიძებნება; ე) იმისთვის, რომ წიწილს მალე გაუმაგრდეს ძელები, და მალე შეიმოსოს ბუნდლით. რბილ საქმელთან ერთათ გარეული კვერცხის ნაჭუჭის ფხენილი აქამეთ: ამისთვის გაახმეთ ნაჭუჭი, დაფშევით და გაურიეთ ცომში რამდენიც გინდათ; ვ) მეოთხე-მეხუთე დღიდგან წიწილებს აქამეთ წვრილათ დაჭრილი წითელი მხალის ფოთოლი, კაბუსტოს, სალათის, ხახვის და სხვა მცენარეების ფოთოლი, მხოლოდ ეს მაშინ, თუ რომ ეზოში მოლი არ არის; თუ მოლი არის, წიწილები რბილ მცენარეებს თითონ პოულობენ; თუ გარემოება ნებას იძლევა წიწილებს აქამეთ დაჭრილი ხორციც (ნაწლევები). ძალიან უყვარს და საჭიროც არის წიწილებისთვის კიეზი, ხოჭოები და საზოგადოდ ხორცეული საქ-

მელი; ზ) ერთ კვირას წიწილებს კრუხს ნუ მიანდობთ სასიარულოთ, თორემ სიარულში წიწილებს ჰღალავს. შემდეგ ერთ კვირისა წიწილები და კრუხი გამოუშვით ყოველ დილას, — როდესაც ცვარი გაშრება და სალამოს კი ადრე დააბინავეთ. ხ) მეორე კვირიდან, შემდეგ გამოჩეკისა, წიწილს არ დააკლოთ მოძრაობა: მას უყვარს სირბილი, ჩხრეკა ნაგავში, შხის სხივები და ნადირობა მატლებზე, ხოჭოებზე, პებლებზე და ამით მას ტანი უმაგრდება.

ვ) მეორე კვირის მეოთხე მეხუთე დღიდგან სალამოს რბილ საქმელში გაურიეთ მაგარი ლომის ან ფეტვის მარცვალი, დაახლოვებით ცომის ან საზოგადოდ რბილ საქმლის მეოთხედი, მეხუთედი ნაწილი, მესამე კვირას სალამოობით აქამეთ ერთი მესამედი მაგარი მარცვალი ორ წილ ცომთან და შემდეგ თანდათან უმატეთ მარცვლები და უკელით რბილი საქმელი.

თ) წიწილების მტერია: სიცივე, ნოტიო და წიწილის ტილი.

ნოტიო და სიცივე მას სურდუს (თხიზას) გვრის და აგრეთვე მუცელში აფლარათებს. ორთავე შემთხვევაში ავთმყოფებს ნუ გაუშვებთ გარეთ, დააგჭვეთ აბილათ და თბილი საქმელი აქამეთ, აქამეთ ცოტათი მომბალი მარცვალი, რაც შეიძლება მეტი კვერცხის ნაჭუჭის ფხენილი, ნუ მიაკარებთ ბალახს, კიებს და საზოგადოდ ხორცეულ საქმელს.

ტილების წინააღმდეგ წაუსვეით თავზე, კისერზე და ილიებში კვირაში სამ-ოთხჯერ უბრალო ზეთუნის ზეთი.

ამ ნაირათ წიწილების კარგათ ზრდისთვის საჭიროა: რბილი საქმელი, სილა, ნაჭუჭის ფხენილი, მეტი მოძრაობა, წმინდა წყალი; მავენებელია: ნოტიო, სიცივე, ტილი.

ნ. მკურნალი.

კვირიდან კვირობამდე.

— **კადეჯ აგ. გომართლის აჭიბოჭია.** მივიღეთ პირველი ნომერი გაზეთ „ალიონისა“. სწორეთ რომ კაი ქალაღღუა დაბეჭდილი. ეტყობა, გამომცემელი ფულიანი კაცია. მიმართულებაჲ კარგი მიუღია: ქრისტეს სარწმუნეების განადგურება და ნაცვლად ამისა ივანე გომართელის იქიბოქიის სარწმუნოებად აღსარება. უურნალი თავშივე იძახის სამეცნიერო ვარო, თუმცა მეცნიერების ჯერ არა ატყვია რა. მაგრამ ეს არაფერია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იგი ჯერ სულ ახალგაზღდა—ეროი ღღისაა.—სჯობდა, რა თქმა უნდა, თავიღანვე მეცნიერულ ნიადაგზე დამდგარიყო, მაგრამ რა გაეწყობა იმ უღმობებელ ბუნების კანონს, რომელსაც თანღისთანობით განვითარებას ეტყვიან. „ალიონი“ შეიღია ბუნებისა და გამონაკლისს ვერ შეადგენს, მაგრამ გომართელი ძველი მეცნიერია; მისმა მეცნიერებამ გაავსო მთელი ჩენი თანამედროვე საქართველოს ნიადაგზე აღმოცენებული პრესსა, როგორც რუსული, ისე ქართული. იგი ვერ დაიტია უკვე არსებულმა გამოცემებმა და სულ ახალ ახალ გამოცემებს თხოულობს. ძველი მეცნიერია თქო, ვამბობთ, და მიტომ მას ვერ ვაპატივებთ უმეცრებას. და თავის დროზე პასუხს გავცემთ, სახელდობრ მაშინ, როცა იგი დაასრულებს თავის ახალ იქიბოქიას. თავიღანვე შევნიშნავთ, რომ გომართელი ათასჯერ ნათქვამს და მილიონჯერ განმეორებულ ზღაპრებს მოგვითხრობს. ამ შემთხვევაში იგი, რასაკვირველია, სარგებლობს ჩენი და ჩენი გამოცემების უსუსურობით და მეცნიერებად გვაჩეჩებს იმას, რაც კაი ხანია უმეცრების სახელითაა მონათლული.

— **რევიზია.** აგერ ორ კვირაზე მეტია, რაც ყოვლად სამღვდლო ბაქოს ეპისკოპოსი გრიგორი რევიზიას უშვება საეპარქიო კანცელარიას. მისი რევიზია ენება მხოლოდ ყოვლად სამღვდლო ლეონიდეს მღვდელ მთავრობის ხანას.



ც რ ე მ ლ ი ს ხ ე ვ ი.

(აღმოსავლეთური თქმულება) 3. აროდმისისა.¹⁾

V.

გადიოდა თვეები, გადიოდბ წლები... საქმეები ქვეყნის მართვის შესახებ, ომები მეზობლებთან, ლაშქრობანი, ელეტა, ხან გამარჯვება, ხან დამარცხება, მეჯლიშნი, დღესასწაულნი, ნადირობანი, ლომებზე და ვეფხვებზე, სამხედრო ვარჯიშობანი, ჰარამხანის წვოვა, დედათა სიყვარულით განძლომა, ყოველნაირი ვართობანი, თავშეყოლებანი—აი რა შეადგენდა აბუ-ჯებლის სიცოცხლის უმთავრეს საგანს.

გარღვედა დღე დღესა, დღე იცვლებოდა ღამით, ზაფხული ზამთრით. განვლო ოცდაათმა წელმა. აბუჯებელმა ვერც კი შეამჩნია ისე ეწვია მას მოხუცებულება. ეღვარება სახისა დღინხანია გაუქრა. მისი უფერული ყვითელი პირის სახე ღრმა ნაოქებმა დაჭყარა. წვერი ქალარით შეუთეთრდა. თვალები მიეზუტა, თუმცა გულმოსულობის დროს წინანდებურათ ცეცხლივით აღეგზნებოდენ, მაგრამ ამ აღგზნებაში სრულიადაც აღარ სჩანდა ეღვარება და ძალი. ქალთა ხვევ ნატლობნამას აღარ იტაცებდა,—მოქანცულის სახით ეალერსებოდა თავის მზეთუნახავებს. მან იგემა უძღურება მოხუცებულობისა.

ბრწყინვალე ფერია დასასრულად მიიწურა.

ბენგალის ცეცხლები ერთი მეორის ზემოიყოლით ჰქრებოდა. სურათზე თავი ამოჰყვეს შევბენლმა დაქებმა და თანდათან უფრო და უფრო შესამჩნევი გახდენ...

გასანიც, ერთგული საყვარელი აბუჯებელისა, მოხუცდა, ის კი არა თავის მბრძანებელზე უფრო დაუძღურდა, კაცის ჩონჩხს დაემსგავსა.

მეორე მისი საყვარელი თეთრი არაბული ცხენი—მოჰკვდა. აბდულლახი დღი ხანია პი-

¹⁾ იხ. „შინ. საქ.“ № 5.

რისაგან ქვეყანისა აღიგავა: იგი მოჰკლა მონამ. და განიფიქრა სიბერის დღეს აბუჯებელმა შემოვლა თვისი თვალუწვდენელი სამფლობელოსი. მან აუწყა თვისი განზრახვა ხასანს, რომელმაც მაშინათვე საიდუმლოთ აფრინა შიკრიკები ყოველის მხრით, თვით უგანაპირეს საზღვრებამდის. შიკრიკებს წინდაწინვე უნდა გაეფთხილებინათ ხალხი აბუჯებელის მიერ განზრახულ მოგზაურობის შესახებ, რათა მას საუცხოოდ მიჰგებებოდნენ... ქალაქებში, სოფლებში, გზებზე—სადაც კი აბუჯებელს უნდა ვაეარა აუარებელი ხალხი ეგებებოდა მას განცხრომით. ქალნი და კაცნი, ყმაწვილნი და მოხუცნი, უხელო და უფეხო ხეიბარნი ბობლავდნენ მტვერში გზის ნაპირად. ის კი არა კეთროვანნი და ეშმაკეულნიც აბუჯებელის დანახვაზე გაჰკიოდნენ:—აღლახი გფარევედს შენ ამიერ უკუნისამდე! დიდებასა შენსა არა ეწოს ბნელი და ჰგიეს იგი შვილითი შვილამდე! ის კი არა დაბადებით მუნჯებიც კი პირს აღებდნენ და ჩარბებს აჩიფიფებდნენ. ქალწულნი მას გზას ყვაილებით უფენდნენ. მომღერალნი ქებას ასხამდნენ მის სიბრძნეს, მამაცობას და დიდებას. ქეშმარიტათ ტრიუმფალური სვლა იყო ეს... აბუჯებელი ოქროთა და ძვირფასი ქვებით აპრიალებული ბრწყინვალე ტანისამოსით, თეთრი არაბული ცხენით, ფრთებითა და ოქროს მკერდით მორთულით, დიდებულის ამალით, აურაცხელი ჯარების თანხლებით, დაბრძანდებოდა თითქოს მტერზე გამარჯვებული, ხოლო დამორჩილებული ხალხი თავს იხრიდა მის წინ. ხალხი კეთილკრძალულებით, როგორც ღვთაების წინ, თავდადმა ემზობოდა—ცხენის ფეხქვეშ უვარდებოდა... დასასრულ მიადწიეს თხლათ დასახლებულ მთიან ადგილს, და აბუჯებელი ამალის თანახლებით კიდევ ავიდა იმ მალლობზე, საიდანაც ხელის გულივით მოსჩანდა ცრემლის ხევი. და ეხლაც, როგორც პირველად, აბუჯებელს შეაფერვოდა და მკაცრად შეაჩერა ცხენი ციკაბოს პირზე. გაახსენდა რომ ეს ადგილი მან ინახულა ოცდაათი წლის წინედ, როდესაც ყმაწვილი და მძლავრი იყო, ოდეს მთელი ცხოვრება მისი ისევ მომთავალში იყო. ეხლა

კი... თვალნი ველარას ხედავს, ხელნი მოუძღვრდნენ, უთრთიან, სხეული დაძველდა და დაძაბუნდა, გაცვდა და სხეულოთ, ვგონებ, სულიც გაცვდა. შეიქმუნენა აბუჯებელი. დაძმარდა... ხოლო ცრემლის ხევი წინანდელზე უფრო გაუნაყოფიერებულყო, გაუღებურებულყო. ის კი არა, გაყვითლებული ბალახის ფიშორებიც გამჰქალიყო იქ. ხეები სულ ერთიან გადამხმარიყო. ზოგიერთი მათგანი ქარისაგან წამოქცეულნი, უსულლო ლეშებევით ეყარენ მიწაზე თავის უსიცოცხლო ტოტებ გაწვდილნი.—რა ამბავია ეს... წარმოსთქვა აბუჯებელმა, დააქტერდა რა ნაცნობ სევდიანს სურათს.—წინეთ, როგორც მე მახსოვს, აქ ცოტადენი ბალახი მაინც იყო, და ხეებს ზოგიერთი ტოტები ნელლი ჰქონდა... ეხლა კი ყველასფერი გამჰქალია.

— ეს აღლაპის ნება არის! წაიბუტბუტა გასანმა. აბუჯებელს გული გაუწყალდა. მან კრინტი აღარ დასძრა, ხელი გაიქნია და ცხენი ადგილიდან დასძრა.—მაღე მოვა ის დრო, როდესაც მთელი შენი სამფლობელო ცრემლის ხევად გადაიქცევა! მოისმა კლდის უკანიდამ მისნური ხმა.

აბუჯებელმა თითქოს არასფერი გამიგონიაო ცხენი ცქვიტათ შეაბრუნა და დაეშვა მთიდამ.

ხასანმა ანიშნა ერთს მხედართაგანს, მან მოუარა კლდეს. კლდის უკან იწვა მოხუცი მათხოვარი.—შენ ამის მეტს ველარ იწინასწარმეტყველებ! წაიბუტბუტა გამძვინვარებულმა მხედარმა, აილო ქვა და იმით დაუცო პირი მოხუცს. მას მერმეთ სამარისებურს სიჩუმეს მოუცავს ცრემლის ხევი. მას წინანდებურათ თავს ევლება ძირს დაწეული ბნელი ღრუბელი და თავს დასჩხავის თვალბედით შავი ყვავი.

მ. ვლ. ფ—ბე.



პროფესორ აქს მიულერის აზრი მატარიალიზმზე.

(მისი წერილებიდან).

ჩემო კეთილო მეგობარო!

მე ძველი პროფესორი ვარ, უკვე 72 წელიწადი შემისრულდა; მიუხედავად ამისა, მაინც ხშირად მეუბნებიან, ახალგაზდა ხარო. არაფრიდგან დავიწყე, ბევრი ვიმუშავე, და ეხლა არა თუ მდიდარი ვარ, არამედ სრულიად დამოუკიდებელი ვარ. ჩვენ მდიდარ ინგლისში და მდიდარ ოსესტორდში ლატაკს შეძახიან, მაგრამ მე სრული კმაყოფილი ვარ ჩემი ბედისა და ვფიქრობ, რომ სიმდიდრეც ამას ჰქვია. 37 წელიწადია რაც ცოლი შევირთე, მყავს ვაჟი, რომელიც სტამბოლის სადესპან-ში მდივნად მსახურებს და ოჯახობაში ბედნიერი ქალი და ოთხი შვილიშვილი.

აი მთელი ჩემი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

მთელი ჩემი სიცოცხლე შევსწირე წარსულს: ვიყავი მკვლევარი ენათმეცნიერებისა და ისტორიისა, ამასთან უმთავრესად ვსწავლობდი კაცობრიობის სხვა და სხვა სარწმუნოების ისტორიულ განვითარებას, გარნა ამისთვის მე აუცილებლად უნდა შემეწავლა მთელი აღმოსავლეთის ენები. როდესაც თავს სწირავ ასეთს სავას, უნებლიედ გებადება ინტერესი და სიყვარული მთელი კაცობრიობისადმი და მისდამიც, რაც მას ყოველთვის სანუგეშოდ მიჩნევია, გებადება სიყვარული და ინტერესი ძველი და ახალი სარწმუნოებისადმი, რომლებზედაც მე ვერ ვბედავ მსჯავრის დადებას, არამედ ვსცდილობ, შევიგნო. ხოლო როდესაც (თვით არსებას) შევიგნებ ბევრს აბატივებ. მართალია (და მე ეს, შეიძლება, სხვაზე უკეთაც ვიცოდე), რომ ბევრ სარწმუნოებას, მათ შორის ჩვენსა-

საც, აქვს თავისი ნაკლებევაება და სუსტი მხარეები, მაგრამ ოდესმე გიკითხავსო თქვენი თავისთვის: რა დაეპარებოდა კაცობრიობას, რომ არაეითარი სარწმუნოება არ ჰქონოდა, ე. ი. დარწმუნებული არ ყოფილიყო, რომ ჩვენ საზღვრებს გარეთ უნდა იყოს კიდევ რამე? თქვენ იტყვიან, საიდგან შეგვიძლია ეს ვიცოდეთო? მაგრამ განა შეიძლება საზღვარი რომლის შემდეგ უსაზღვროება არ იღვას? ნუ თუ ეს ისეთივე ჭეშმარიტება არ არის, როგორც, რომელიც გინდა, გეომეტრიული დებულება? სხვაფრივ როგორ შეგიძლიათ ახსნათ, რომ კაცობრიობის, როგორც უმაღლესი საზოგადოება, ისე უმაღლესიც, ვერასოდეს ვერ მორჩენილა სარწმუნოებას, მუდამ ჰქონია რწმენა, რომ ჩვენ საზღვრებ ზევით არის რაღაცა ე. ი. არ ყოფილა დრო, როდესაც სარწმუნოება—რელიგია—არ ყოფილიყოს.

საზღვარი მარტო სივრცეს არ ეკუთვნის, იგი დროსაც ეხება. თუ სივრცეს საზღვარი აქვს, რომლის იქით უსაზღვროება იწყება, დროსაც აქვს საზღვარი რომლის იქით უსაზღვროება იწყება. თქვენ შეიძლება სთქვათ, ქვეყანა უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე ჩვენ გვეჩვენებაო. თანახმა ვარ, მაგრამ რამდენი მილიონი წლისაც უნდა იყოს იგი, მაინც უნდა ყოფილიყო დრო, როდესაც იგი ჯერ კიდევ ერთი წლის არ ყოფილა. ამის წინააღმდეგი არაეინ იქნება.

მაგრამ, როცა საქმე ჩვენი ჭკუის და გრძნობების საზღვარზე მიდგება, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ჩვენ ჭკუაზე უმაღლესი არა იქნება რა. განვიხილოთ ჯერ ჩვენი გრძნობები. იგინი ჩვენ ფრთხილად გვეჩვენებიან; მაგრამ ნამდვილად კი ჩვენი ბოროტებები ჩვენი საბურობილის კედლები არიან, მიტომ რომ ყოველ ჩვენ გრძნობას თავის საზღვარი აქვს, რომლის იქით ვეღარ მუშაობს. ჩვენი თვალი ხედავს არა უშორეს 7 ვერსისა; წამის ისრის მოძრაობას ჩვენ კიდევ ვამჩნევთ, წუთისას სულ

ველარ. რატომ? თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ზარბაზნის ყუმბარა ჩვენ თვალწინ გაირბენს, მაგრამ მისი დანახვა ჩვენ არ შეგვიძლია. რატომ? მიტომ რომ ჩვენი გრძობები ძრიელ სუსტია და განსაზღვრულია, როგორც ძალიან დიდს, ისე ძალიან პატარასაც ვერ ვამჩნევთ. ნემსის ყურწის დანახვა ჩვენ კიდევ შეგვიძლია, მაგრამ ინფუზორიებისა და ბაქტერიებისა, რომლებიც უეჭველად ცხოვრობენ და დიდი მნიშვნელობაც აქვსთ ჩვენთვის, დანახვა უკვე არ შეგვიძლია. ტელესკოპი და სხვა გამადიდებელი შუშები ცოტაოდნათ აფართოებენ ჩვენს მხედველობას, მაგრამ ჩვენი გრძობების სისუსტე მაინც ძალიან რჩება. ჯერ კიდევ პლატონმა სთქვა, ჩვენ საპყრობილეში, მალაროში ვცხოვრობთო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ვღებულობთ ჩვენს წარმოდგენებს, როგორც არიან იგინი, ვაკეთებთ მათგან საზოგადო ცნებებს და ვარქმევთ მათ სახელებს და მათი საშვადებით ვაშენებთ იმ საკვირველ შენობას, იმ ბაბილონის გოდოლს, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან.

ბოსლეველი.

(შემდეგი იქნება).

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკმადავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.

(გომართელის „სულისა და ტვინის“ გამო).

მიწვალებულია მკ. მასს ეცხადება და სთხოვს, სწამდეს ღმერთთა.

— თავადი ვლადიმერ სერგის ძე დღესგორუკი, პრუსიაში დესპანად ყოფნის დროს, გაიტაცა ახალმა სარწმუნოების უარყოფელთა მოძღვრებამ და სრულებით დაჰკარგა რწმენა ღმერთზე. მისი ძმა პეტრე სერგის ძე წერილს წერილზე სწერდა, რომლებშიც უმ-

ტკიცებდა და არწმუნებდა მას, რომ იგი შემცდარია, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების გარეშე არ არის ქვეყანაზე ბედნიერება, რომ სარწმუნოება არსებითად საჭიროა მომავალი ცხოვრებისათვის და სხ. მაგრამ ამოდ: ვოლტერის, ლიდეროტის, დალამბერის და სხვა მაშინდელ ურწმუნო მსწავლულთა მოძღვრების გავლენის ქვეშ, იგი მხოლოდ დასცინოდა მის რწმენას.

ერთხელ ის ძრიელ დაქანცული დაბრუნდა მეფე ფრიდერიკიდგან, მოსვლისთანავე გაიხადა, ჩავარდა საწოლში და მალე წაეთვლია. უეცრად მოესმა, რომ ვიღამაც გადასწია თარდა, რომელიც ჩამოშვებული იყო მის ლოჯინთან, მიუახლოვდა, ხელში ცივი ხელი მოჰკიდა და კიდევ მოუჭირა. მან გამოიხედა და დაინახა ძმა, რომელმაც უთხრა „გრწამდესო“. მის ასე მოულოდნელად მოსვლით გახარებულ თავადს უნდა მოეხვიოს ძმას, მაგრამ ჩვენება ჰქრება. ის ეკითხება მოსამსახურეებს, თუ სად წავიდა ძმა, მაგრამ მათ უბასუხეს, რომ არავითარი მისი ძმა არ მოსულა და არც უნახავთ. თავადს უნდოდა დაეჯერებია თავისი თავი, რომ ეს სიზმარი იყო, ოცნება; მაგრამ სიტყვა „გრწამდეს“ განუწყვეტლივ გაისმოდა მის ყურებში და არ აძლევდა მას მოსვენებას. მან ჩასწერა რიცხვი, საათი და წამი ჩვენებისა. დიდ ხანს არ გაუვლია ამის შემდეგ, რომ მან ცნობა მიიღო თავის ძმის გარდაცვალებისა; იგი გარდაცვლილიყო სწორეთ იმ რიცხვში, იმ საათში და იმ წამში, როცა მან თავის ლოჯინთან ნახა, ამის შემდეგ იგი შეიქმნა მორწმუნე და ღვთის მოყვარე ქრისტიანე. ამ ჩვენებას იგი ხშირად მოიგონებდა ხოლმე შემდეგ.

მიწვალებულია კონტრაქტზე ხელს აწერს.

— 1821 წელს ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ საღრანგეთის ტახტზე აღვიდა ლუი მეოთვრამეტე. ერთ ღამეს იგი იწვა თავის დასაძინებელ ოთახში, მაგრამ ძილი არ ეკიდებოდა და ფიქრობდა ნაპოლეონზე, რომელიც ამ ხანებში გადაიკვალა წმ. ელენეს კუნძულზე.


სანთლები ძლივს ბეუტადენენ; სტოლზე იდვა საურანგეტის სამეფო გვირგვინი და მარშალ შარპონის საქორწინე კონტრაქტი. იმ კონტრაქტზე ხელი უნდა მოეწერა ნაპოლეონს, მაგრამ ომიანობამ შეუშალა ხელი და ეხლა იგი იდვა მეფე ლუის წინაშე და ელოდა მის ხელის მოწერას. ღვთისმშობლის ტაძარზე საათმა შუალამე აუწყა. ძლივს უკანასკნელი რეკის ხმა შეწყდა, რომ კარი გაიღო. შემოვიდა ნაპოლეონი, მივიდა სტოლთან, დაიდგა თავზე გვირგვინი, აიღო საქორწინე კონტრაქტი და შემდეგ კალამი; ამის შემდეგ მეფე ლუიმ გრძნობა დაჰკარგა და არ გაუგია რა მოხდა. როცა იგი გონს მოვიდა უკვე ბრწყინვალე დილა იყო. აღდგომისათნავე მან კარი დაათვალიერა, რომელიც აღმოჩნდა ჯერ დაკეტილი და მერმე დაურღულელებული; მემდეგ მეფე სტოლთან მივიდა და ნახა კონტრაქტზე მოწერილი სახელი: „ნაპოლეონი“. შემდეგმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთმა მოსამსახურებმა, რომლებსაც დიდხანს არ დაუძინათ და უცდიდნენ თავიანთ ამხანაგების დაბრუნებას ქალაქიდან, შუალამეზე დაინახეს ფერ მიხდილი მოჩვენება, რომელიც მიეშურებოდა მეფის დასაძინებელ ოთახისაკენ. დაწერილი სახელი აღმოჩნდა ნამდვილი ხელნაწერი ნაპოლეონისა; ეს შესანიშნავი კონტრაქტი 1847 წელს კიდევ ინახებოდა სამეფო არხივში ქალაქ შარიზში. (Шапъбергъ „0 безсмертiи души“).

მაცვალეუღა ცოლა სოხოვს ქმარს ხელა აიღას სხგა ქალთან უსჯულა კავშარსე.

— ინგლისის მატიანეში ჩაწერილია შემდეგი შემთხვევა: 4 იანვარს 1736 წელს გარდაცვალეებული ინგლისის დედოფალი სოფიო ორჯგერ გამოეცხადა თავის მეუღლეს მეფე გიორგი I და სოხოვა შეეწყვიტა ქალბატონ ფორაციასთან უსჯულო დამოკიდებულება, რომელიც მან დედოფლის სიკოცხლეშივე დაიწყო. მეორედ რომ გამოეცხადა მეფე ლოგინში იწვა; მან აიღო მეფის კრუეევოს საყელო, გამონასკვა იგი, დააგდო მის გულზე და

უთხრა, რომ ამ ნასკვს ვერაინ მომაკვდაფთგანი ვერ გამოხსნისო. მეორე დღეს გორაცია ბევრი ეცადა ნასკვის გამოხსნას, მაგრამ რადგან ვერა გააწყო რა, საყელო ცეცხლში ჩააგდო; მეფემ გამოიტაცა იგი ცეცხლიდგან, მაგრამ ხელიდგან გაუვარდა და გორაციას კალთაზე დაეცა. მყისვე მის ტანისამოსს ცეცხლი მოედო და იგი რამოდენიმე დღის შემდეგ სიღამწვრით გარდაიცვალა. გიორგიმ შეინანა, შეუდგა ლოცვას და ღვთის ვედრებას, ააშენა საავათმყოფო, ბევრი კეთილი საქმე ჰქმნა დედოფლის სახელით და შემდეგ გადაიცვალა უკანასკნელი გამოცხადების მეორე თვის დამღევს. (იქვე გვ. 44).

სანმანიანი.



რედაქტორ-გამომცემელი მღვდელი

სიმონ მხეღლიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ვ ა

პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა

პირველი თებერვლიდგან ქალაქ ქუთაისში ქნე. მკედლიძის სახლებში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევი № 17) გაიხსნა კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია. აქვე ამზადებენ მსურველთ სხვა და სხვა სასწავლებლისათვის და ღებულოზენ სარეპეტიციოდაც.